CAUCASIAN MINING GROUP LLC
CMG
შპს კავკასიის სამთო ჯგუფი

№130. 20.09.21წ.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს

უფროსს ბატონ არჩილ ნიკოლეიშვილს

ბატონო არჩილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ზე გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია N10002084, (ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა მოპოვება).

აღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის (მათ შორის, ამისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის) შპს ,,კავკასიის სამთო ჯგუფ"-ს ესაჭიროება არსებული მისასვლელი-დამხმარე გზების რაებილიტაცია და ახალი გზების მშენებლობა, ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება. დაგეგმილი სამუშაოების არეალი მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას, რისი გათვალისწინებითაც აუცილებელია შპს „კავკასიის სამთო ჯგუფ"-ს მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტყითსარგებლობის წესის" მოთხოვნათა შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, რათა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის ფარგლებში მოქცეულ **#80.13.67.075** საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ ნაკვეთზე და წინამდებარე წერილზე თანდართულ აზომვით ნახაზებზე დატანილ ფართობებზე (საერთო ფართობი-**324945** კვ.მ.) ,,ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტყითსარგებლობის წესის" მე-60-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული არსებული მისასვლელი-დამხმარე გზების



ს/კ: 404908775. იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, ყიფშიძის ქ. №6.
საფოსტო მისამართი: 0171, ქ. თბილისი, ალექსიძის ქუჩა №1/III შესახვევი, კორპუსი №9, ტელ: +995 599 57 55 11, +995 595 90 81 47, ელ. ფოსტ: info@cmg.ge
ID Code: 404908775. Legal Address: 6 Kipshidze Street, Tbilisi, Georgia. Postal address: 0171, 1 Aleksidze street/3rd lane, Tbilisi, Georgia.
Phone: +995 599 57 55 11, +995 595 90 81 47, E-mail: info@cmg.ge

რეაბილიტაციისა და ახალი გზების მშენებლობის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების მიზნით შპს ,,კავკასიის სამთო ჯგუფ"-ს მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლება 20 წლის ვადით **1612,62**კვ.მ. ხე-ტყის ჭრის უფლებით.

აქვე გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ მოთხოვნილ ფართობებზე არ აღინიშნება წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები და არც 30⁰ და მეტი დაქანების ფერდობები.

დანართი:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ასლი;
- მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზები;
- მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების Shp-ფაილების ელექტრონული ვერსიები UTM კოორდინატთა სისტემაში (3 დისკი);
- ტყეკაფების აღრიცხვის მასალები.

**პატივისცემით,**

**ჯონდო შუბითიძე**

**გენერალური დირექტორი**